№ 110 მაისი 26, კვირა — 1891 — მაისი 26, კვირა № 110

**გაზეთი ღირს**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, აგჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1891 — საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი — 1877—1891

## „ივერია“

გამოვა 1891 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

**ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1891 წლისათვის მიჰმართოს:**

**ტფილისში:** ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію Грузинской газеты „ИВЕРIА“.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელი იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესაპყრობს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

## ახალი ამბავი

*** ტფილისის გუბერნის თავად-აზნაურთა კრება გუშინ დილითვე შეუდგა დეპუტატთა საკრებულო მდივნის არჩევანს. კენჭი ჩამოუტარეს წინანდელს მდივანს ზ. დ-ძეს ასლამაზოვს, რომელიც ამ თანამდებობას ასრულებს 1865 წლიდამ. დიდის ხმის უმეტესობით (177-1) ისევ არჩეულ იქმნა მდივნად; ამის კანდიდატად ს. ი-ძე ჯაკელოვი.

ნაშუადღევის პირველს საათზე შეუდგნენ საგუბერნიო წინამძღოლის არჩევანს. წინანდელმა წინამძღოლმა თავ. ი. კ—ძემ ბაგრატიონ-მუხრანსკიმ უარი განაცხადა კენჭის ყრაზედ; კანდიდატებად კრებამ დაასახელა: თავ. ი. ს—ძე ჭავჭავაძე, თავ. ა. ი—ძე ორბელიანი, ლ. ა—ძე მაღალაშვილი და თავ. დ. ა—ძე სუმბათაშვილი. პირველმა და მეორემ უარი განაცხადა კენჭის ჩამოტარებაზედ, ხოლო მესამემ და მეოთხემ ისურვეს კენჭის ყრა: როცა კენჭები დათვალეს, ლ. ა—ძეს მაღალაშვილს ამოუვიდა 110 თეთრი და 76 შავი, დ. ძ—ეს სუმბათაშვილს 82 თეთრი და 10 შავი. კანდიდატობაზე კენჭი ჩამოუტარეს გორის მაზრის წინამძღოლს ი. დ—ძეს სულხანიშვილს, რომელსაც ამოუვიდა 105 თეთრი და 80 შავი კენჭი.

ამით დასრულდა კრება ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა.

*** სარწმუნო წყაროდამ შევიტყეთ, რომ ის ამბავი, რომ ტფილისის ბანკს ნება მიეცა 5% გირავნობის ფურცლების გამოცემისა და 6%-ის 5%-ზედ გადანაცვლა—მართალია.

*** საფრანგეთის გამოფენაზე მოსკოვს ტფილისიდამ წასულა ასათი კაცი.

*** ამ თვის 23 ტფილისიდამ გაემგზავრა ბათუმს რვა ებრაელთა ოჯახობა. იქიდამ ებრაელნი გაემგზავრებიან არგენტინის რესპუბლიკასა და ჩრდილო-ამერიკის შეერთებულს შტატებში. ებრაელნი იმიერ-კასპიის მხრიდამ იქაურს ადმინისტრაციას დაუთხოვნია, რადგანაც იქ ცხოვრების ნება არა ჰქონიათ.

*** ამბობენ, რომ ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე გამართული იქნება ტელეფონი, რომლითაც ერთი რკინის გზის სადგური აცნობებს მეორე სადგურს მატარებლების გამოსვლას სადგურიდამ. დღემდე ჯერ ამ ცნობას დეპეშით აცნობებენ სადგურიდგან ერთმანეთს.

*** ჩვენ მივიღეთ ახალი (მერვე) გამოცემა „დედა ენისა“, შეცვლილი და შევსებული. ანბანში ჩართულია რამდენიმე სურათი სამღვთო საგნებისა, სახელდობრ: ანგელოსისა, საყდრისა საცეცხლურისა, მაცხოვრის ხატისა. საკითხავი წიგნი ცოტაოდნად შემოკლებულია, წინანდელს გამოცემასთან შედარებით, უცხო ენიდგან ნასესხი მოთხრობანი უფრო ნაკლებია და სამაგიეროდ მომატებულია მოთხრობანი ქართულის ცხოვრებიდგან. გარდა ამისა ის საყმაწვილო ლექსები, რომელიც რუსულიდგან იყო გადმოკეთებული, ამ ახალს გამოცემაში აკ. წერეთლის რედაქციით არის დაბეჭდილი. უმთავრესი ცვლილება ისაა, რომ ამ ახალს გამოცემაში ჩართულია სრულიად ახალი განყოფილება —სასულიერო-ზნეობრივი, რომელშიაც მოთავსებულია ოცდა ათამდე მოთხრობა და ლექსი სასულიერო შინაარსიანი. ამ განყოფილების ლექსებიც აკ. წერეთლის მიერვეა გადმოღებული და დაწერილი. ხუცური განყოფილებაც ამ გამოცემაში წინანდელზე უფრო ვრცელია—შეტანილია სხვა და სხვა ზნეობის მასწავლებელი ადგილი სოლომონ ბრძნისა და ისო ზირაქის ძის წიგნებიდამ და აგრეთვე რამდენიმე იგავი მაცხოვრისა. დაბადებიდგან და სახარებიდგან ამოღებული ამბები ჯერ ხუცურადაა დაბეჭდილი და ზედ გვერდზედვე მოსდევს იგივე ამბები ახალს ქართულს ენაზედ ნათარგმნი, მხედრულად დაბეჭდილი. საზოგადოდ ახალს გამოცემაში სასულიერო განყოფილება უფრო ვრცელია და 60 გვერდი უჭირავს ე. ი. ერთი ორად მეტია წინანდელზე, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს სამრევლო სკოლათათვის. წიგნი სუფთად და ლამაზად არის გამოცემული, სულ 189 გვერდს შეიცავს და ფასადაც უწინდელებრ ექვსი შაური ჰღირს.

*** ქალაქის თვითმართველობის ახალ დებულების განხილვას სახელმწიფო საბჭო დაიწყებს მხოლოდ შემოდგომაზედ, რადგან ყველა სამინისტროს არ წარუდგენია ჯერ-ჯერობით მისთვის თავისი აზრი ამ საგნის შესახებ.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ ამ მოკლე ხანში სომეხთ „დრამატიულ საზოგადოებას“ კრება ექმნება. ამ კრებამ სომხურ თეატრის საქმეებზედ უნდა მოილაპარაკოს. ამავე კრებამ უნდა განიხილოს სომეხთ არტისტის ბ-ნ პეტროსიანცის წინადადება შესახებ სომხურის სცენის განკარგებისა. ბ-ნი პეტროსიანცი თვითონ კისრულობს დასის შედგენას, თუ რომ საზოგადოება ამ თავით ცოტაოდენს დახმარებას აღმოუჩენს, იმდენს მაინც, რომ გზის ხარჯი დაჰფაროს სტამბოლში წასასვლელი. ბ-ნს პეტროსიანცს უნდა სტამბოლიდამ არტისტ-ქალების მოყვანა.

სათეატრო დასის შესანახი ხარჯი უნდა იკისროს დრამატიულმა საზოგადოებამო.

*** კავკავიდამ იწერებიან, რომ ამ თვის 20-ს იქ დიდი სეტყვა მოსულა და მასთან ერთად ქარ-ბუქიც. ქალაქში ბევრი შუშა დაუმსხვრევია და რამდენიმე ბაღი მთლად გაუნადგურებია. კარგია კიდევ, რომ სეტყვა ერთიანად არ მოსდებია იქაურობას და მხოლოდ შიგა-და შიგ დაუზარალებია ნათესობა და ხეხილი.

*** ფოთი: 19 მაისს ქართულ სცენის მოყვარეთაგან ფოთის კლუბის დარბაზში წარმოდგენილ იქმნა ჩვენის საქალაქო სასწავლებლის ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ ბ-ნ მოჩხუბარიძის პიესა „ა რ ს ე ნ ა“. წარმოდგენამ ძლიერ კარგად ჩაიარა, ხოლო სამწუხარო ისაა, რომ იმდენი ხალხი არ დაესწრო, რამდენსაც მოველოდდით; შემოსავალი ათს თუმანზე

## ფელეტონი

### ჩვენი დედაკაცები

### და

### ახალი დრო

(იხ. „ივერია“, № 99)

### III

ვიდრე გავარკვევდეთ ეხლანდელის დედაკაცის ყოფა-ცხოვრებას და ამ ყოფა-ცხოვრების ვითარებასა, საჭიროა ორიოდე სიტყვა ვსთქვათ იმის შესახებაც, თუ რა უკეთურობა ეტყობოდა ძველებურს დედაკაცსა და მის მაშინდელს ყოფა-ცხოვრებასა. მოვალენი ვართ განვმარტოთ, რამდენისამე სიტყვით მაინც, რა სიდუხჭირე სჭირდა ისეთი ძველებურს ცხოვრებას, რომ ახალმა დრომ ზურგი შეაქცია ძველებურს დედაკაცს და მოითხოვა შეცვლა იმ ძველებურის დედაკაცის ტიპისა. მოვალენი ვართ ჯერ იმიტომ, რომ ამას გვიბრძანებს გრძნობა სამართლიანობისა და მიუკერძველობისა, და მერე იმიტომ, რომ უამისოდ ძველებურის ცხოვრების სურათი სრული არ გამოვა, ყოველის მხრით გაშუქებულ-განათებული.

უმთავრესი ნაკლულევანება ძველებურის დედაკაცებისა ის არის, რომ იმათ შეეძლოთ ეცხოვრათ და ემოქმედნათ მხოლოდ იმ ვითარებაში, რომელშიაც დაიბადნენ და აღიზარდნენ. ძველებურს დედაკაცებს ის უნარი არა ჰქონდათ, რომ შეეშვნიათ ცხოვრების ახალი ვითარება, ის უნარი არა ჰქონდათ, რომ აჰყოლოდნენ დროებას და, ცხოვრებისა და მის ვითარების ზრდა-წარმატებასთან, თითონაც ზრდა-წარმატებაში შესულიყვნენ. როცა ბატონ-ყმობა გადავარდა და შეიცვალა ძველებური ყოფა-ცხოვრება, ძველებური მანდილოსანიც, მოკლებული ამ ჩვეულს ყოფა-ცხოვრებას, თევზსავით მშრალზე დარჩა. ერთს სტიქიონს მიჩვეულმა ვეღარ შესძლო სხვა გვარს სტიქიონშიაც ისე ეცხოვრა, როგორც შეჩვეულში ცხოვრობდა. ძველებურს დედაკაცს მაშინ დაეტყო, რაოდენად მძიმე, მოუხეშავისა და უსიცოცხლო ბუნების პატრონი იყო. ახალ დროების ნიავ-ქროლვას ვეღარ გაუძლო და გატყდა.

ეს კიდევ ცოტაა: ძველებურმა დედაკაცმა, არამც თუ ვერ მოახერხა და ვერ შეიშვნია ახალი ვითარება, რომელიც ბატონ-ყმობის გადავარდნას მოჰყვა, არამედ გაბოცდა კიდეც, პირ-კატა ეცა და თითქო ისიც ვეღარ მოისაზრა, რომ სრულიად ახალმა სიომ დაჰბერა, სიომ აუცილებელმა და გზა-აუქცეველმა.

ცხოვრება თავისის გზით მიდიოდა და მიდის დღესაც, ხოლო ძველებური ქართველი დედაკაცი განმარტოებითა სდგას ამ ცხოვრების დუღილს გარეშე, გულში ღრმად ჩაუმარხავს თავისი ძველებური ნატვრა-სურვილი, მისდევს ისევ ძველს წესსა და ჩვეულებას, ჰფიქრობს და ბჭობს ძველებურადვე. უნდა მოგახსენოთ, რომ ხშირად გულს უთუთქავს ადამიანს ყურება ამ ძველებურისა და კურთხეულის დროების წარმომადგენელთა, ცალის ფეხით უკვე სამარეში ჩამდგართა. მეტად აქვთ გული დაწყვეტილი ბედისაგან, მეტად გაშტერებულნი და თავ-ბრუ-დასხმულნი არიან ყველაფრით, რაც-კი რამ მოხდა მათ გარშემო დღემდე და რაც მოსალოდნელია დღეის შემდეგაც. ეგ არის იმათი ცეცხლი, რომ ცხოვრობენ დღეს და დღევანდელის ცხოვრებისა-კი ვერა გაუგიათ-რა, ჰხედავენ სხვა-და-სხვა ამბავსა და გარემოებას, მაგრამ არ ესმით-კი არც მისი აზრი და არც მისი საძირკველ-საფუძველი. იგინი არიან განხორციელებული ხმა-გაკმენდილი წინააღმდეგობ ყოველისავე ახალის სიოსი და ახალის ურთიერთობისა ცხოვრებაში. ხოლო, რაკი ცოდნა და შეგნება არა აქვთ ახალის დროების ბუნება-ვითარებისა, ამიტომ არც ბრძოლა შეუძლიანთ მის წინააღმდეგ. და აი მიდიან ნელ-ნელა სამარისაკენ ეს ძველებური ადამიანები და თან გულში ღრმად აქვთ დამარხული გაბოროტება და საყვედური. ხელ-ფეხდადუმებულნი იგინი ჰგვანან იმ დამარცხებულსავით ქედმოხრილსა და დამორჩილებულებს, რომელთაც წართმევიათ ყოველი იმედი გამარჯვებისა!...

ბატონ-ყმობის დრომ შესძლვნა ძველებურს ქართველს დედა-კაცს გულ-წრფელობა და სიმტკიცე ხასიათისა, ხოლო არ მიანიჭა არც საკმაო სწავლა-განათლება, არც საჭირო საკულტურო წვრთნა-განვითარება. უამისოდ-კი ძნელია ადამიანმა თავზე ხელი მოისვას და ადვილად მიაჩვიოს თვალი უცხო გარემოება-ვითარებას. აი სწორედ ამ მიზეზით, რომ ძველებური დედაკაცი ასე მოუმზადებელი იყო ახალის ცხოვრებისათვის, იგი დედაკაცი დღეს იმ გენერლის ყოფაშია ჩავარდნილი, რომელმაც სრული პენსია ვერ დაიმსახურა, ხოლო არა იმიტომ რომ ან მეტად მოხუცია, ან ჯანი აქვს ძალზედ გატეხილი, ან კიდევ გული არ ერჯის სამსახურისათვის, არამედ იმიტომ რომ ჯარი და მხედრობა ახალს წესზე იქმნა დაყენებული და ამ საქმის ახალს წესზე დაყენებამ უდროოდ გამოუძახა იქიდამ ის გენერალი, როგორც უვარგისი, ახალის წესისა და რიგისათვის გამოუსადეგარი, დაძველებული რამ საქონელი.

ამ გარემოების გამო, დედაკაცების ახალ-თაობას, რომელიც მოწოდებული იყო ეცხოვრა ახალს ვითარებაში, რაკი დრო დადგა ახალი, უნდა შეეძინა საჭირო სწავლა-განათლება—ეს უმთავრესი იარაღი შეცვლილის წეს-წყობილებისა. ახალის დროების დედაკაცის მოვალეობა იყო მოესპო მტრობა და უსიამოვნობა, რომელიც ხარიხასავით ჩადგა ძველებურს დედაკაცსა და ახალს დროებას შუა. ხოლო ამ მოვალეობის შესასრულებლად უეჭველად საჭირო იყო, რომ ახალი დროების დედაკაცს ერთის მხრით ცხადად და გარკვევით შეეგნო, რას თხოულობდა ის ახალი დროება, ხოლო მეორეს მხრით ისეთისავე მხნეობით და თავგამოდებით შესდგომოდა საქმიანობას, რა მხნეობითა და თავგამოდებითაც ძველებური დედაკაცი საქმიანობდა და ირჯებოდა ძველს დროსა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტი არ იქნებოდა. ერთის მხრით ამის მიზეზი ის უნდა იყოს, რომ ბილეთები სახლებში არ დაურიგებიათ, როგორც აქ წინად ჩვეულებად ჰქონდათ, რადგან ამის ნება ეხლა არ მისცეს სცენის მოყვარეთ; მეორე მიზეზად ისიც უნდა დავასახელოთ, რომ აფიშები ვილაცას მიეხ-მოეხია და ბევრმა არც-კი იცოდა, თუ ამ დღეს წარმოდგენა იქნებოდა.

წარმოდგენამ ასიამოვნა დამსწრენი, ყველა მოთამაშემ ისახელა თავი და მიიქცია საზოგადოების ყურადღება, განსაკუთრებით ნინოს როლში ქბ-ნმა ყ—ის ქალმა, ზაქარას და გლეხის ბიჭის როლში ბ-ნმა ხ—ძემ. ბ-ნი გ—ძე შეუდარებელი რამ იყო იორამისა და დიამბეგის როლში.

⁂ ტფილისის მასწავლებელთ განუზრახავთ თავის საკუთარის კლუბის დაარსება. წესდება უკვე შეუდგენიათ და წარდგენილია დასამტკიცებლად. მასწავლებელთა კლუბის დაარსება მომავალს ენკენის თთვიდამ მოელიან—ამბობს გაზ. „ტ. ლ.“-ი.

⁂ გაზ. „ნოვოსტი“—სწერს, რომ კერძო ვექილების გამოსაცდელს პროგრამას სასამართლოებში საქმის დაცვის შესახებ ხელ-ახლად უნდა გადაჰხედონ და შეავსონო. ამისათვის იუსტიციის სამინისტროში ცალკე კომისია იქნება შემდგარიო.

⁂ 24 მაისს კოტრინის ქარხანაში, როცა მანქანას შლიდნენ, სათადარიგო ეფრეიტორი მისკილ შედკომირს ჩამოვარდა და მძიმედ დაშავდა.

## მორიგი კრება

### ქუთაისის სადგილ-მამულო ბანკის წევრთა

(შემდეგი. იხ. „ივერია“ № 109)

სხდომა კრებისა დაიწყო 12-ს საათზე ზედამხედველ კომიტეტის წევრის ბ-ნ ლ. თ. ლოლუას თავმჯდომარეობით. კომიტეტის წევრთაგან, გარდა 586-ს წევრისა, რომელნიც წინა დღეს ჩაეწერნენ, დღეისათვის კიდევ 64 წევრი ჩაეწერა,—ასე რომ სულ 650 წევრია დამსწრე, თუმცა-კი რიცხვით გუშინდელზედ ნაკლები ხალხია თეატრის დარბაზში.

ბ-ნი ლ. თ. ლოლუა (თავმჯდომარე კრებისა) ატყობინებს საზოგადოებას, თუ რა და რა ხარჯი უნდა გასწიოს ბანკმა წელს; სათავად-აზნაურო სკოლისთვის წარსულის წლის მოგებიდგან მხოლოდ 12000 მანეთი შეგვიძლიან გადავდოთო, ხოლო საჭიროა კიდევ 15000 მანეთამდეო. 3000 მანეთი გუბერნიის მარშლისათვის არის საჭირო. ამდენსავე თხოულობს წლიურად ბ-ნი მამონხოვი, ინსპექტორი ქუთაისის პროგიმნაზიისა, რომელიც აცნობებს ბანკის წევრთ, რომ მთავრობას განზრახვა აქვს პროგიმნაზია რეალურ სასწავლებლად გადააკეთოს და ამისათვის საჭიროა სამ-სამი ათასი მანეთი შემოგვაწიოს წლიურად ბანკმაო. 1500 მანეთი ბ-ნ აკაკი წერეთლისათვის არის საჭირო, ამდენივე ქუთაისის წმ. ნინოს დედათა სასწავლებელში ექვსის სტიპენდიის დასაარსებლად ღარიბ აზნაურთა ქალთათვის. ამის შესახებ ამ სასწავლებლის მმართველობის წევრთ თხოვნა შემოიტანესო; 6000 მანეთს სესხად თხოულობს დეპუტატთა საკრებულო, რომელსაც წინა წლებში სესხადვე აქვს გატანილი 10,000 მანეთი. ამ სახით ყველა საჭიროების დასაკმაყოფილებლად გვჭირდება 15,000 მანეთი; მოგება-კი მთლად სკოლას უნდა მოვანდომოთო. ამიტომ უნდა განსაჯოთ, აღნიშნულ საგნებისათვის დავაწესოთ ხარჯი თუ არა, და თუ დავაწესებთ, რომელ წყაროდგან გავიღოთ ეგოდენი ხარჯი და თითო საგნისათვის რამდენ-რამდენი დავნიშნოთო

ბ-ნი კ. ზ. ლორთქიფანიძე სთხოვს კომიტეტს, თავისი აზრი წარმოსთქვას, თუ რამდენის ფულის დანიშვნა შეგვიძლიან თითოეულის საგნისათვის და, თუ უპირატესობაზე მიდგა საქმე, რომელს საგანს უნდა მიეცეს უპირატესობაო. ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ კომიტეტმა ჩვენზე უკეთ იცის, თუ რა წყარო აქვს ბანკს და ამ საქმის შესახებ რა უფრო მოსახერხებელია.

თავ. ი. გელოვანი და თავ. გ. დადიანი ამბობენ, რომ დღეს სამეგრელოსა და ლეჩხუმის თავად-აზნაურობას განკითხვის დღე დაუდგაო, იმისი ბედი და უბედობა ქუთაისის დეპუტატთა საკრებულოზე არის დამოკიდებული. სრულიად დარწმუნებული ვართ, რომ წარმომადგენელნი გურია-იმერეთის თავად-აზნაურობისა ყოვლად ღირსეულნი კაცნი არიან; ყველამ ვიცით, გუბერნიის მარშალიც კეთილი და პატიოსანი კაცია და იმედი გვაქვს, რომ ჩვენს საქმეს გულდასმით და ყურადღებით მოეკიდება. რაკი მთავრობამ ჩვენის წოდებრივის ღირსება-უფლების გარჩევა მიანდო, დიდი შრომა მოელისო. ამიტომ ჩვენ, ვითარცა უმცროსი და ერთგული მოძმენი გურია-იმერეთის თავად-აზნაურობისა, გთხოვთ, გუბერნიის მარშალს და დეპუტატებს ჯამაგირი დაუნიშნოთ ამ დიდის შრომისათვის; მარშალს, თუ შეიძლებოდეს, ჯამაგირი მოემატოს. სამეგრელოსი და ლეჩხუმის თავად-აზნაურობა ყოველთვის ერთგული იყო გურია-იმერეთის თავად - აზნაურობისა და მისს თხოვნას, როცა საქმე შეეხებოდა ხოლმე საზოგადო, ქვეყნის ინტერესს, ყოველთვის ხელს უმართავდაო. მაგალითად, როცა მარშლად ირჩევდა ნეტარ-ხსენებულს ჩვენს საყვარელსა და საუკეთესო მამულიშვილს დ. ი. ყიფიანს, ჩვენ თანახმა გავხდით ჯამაგირი დაგვენიშნა ამ კაცისათვის, თუმცა სამეგრელოსი და ლეჩხუმის თავად-აზნაურობა მაშინ იმ ყოფაში არ იყო, რომელშიაც დღეს არის ჩავარდნილი. ამიტომ სრულად დარწმუნებულნი ვართ, რომ დღეს ჩვენს თხოვნასა და ვედრებას შეისმენთ ხელს მოგვიმართავთ და ამით ჩვენის საქმის წარმოებას გააადვილებთ (საზოგადოებაში ხმაურობაა, თანაგრძნობას უცხადებენ.

თავ. დ. ო. ნიჟარაძე. ვითარცა დეპუტატთა საკრებულოში ნამსახური კაცი, ვალდებულად ვრაცხ ჩემს თავს, შეგატყობინოთ, თუ ვის რა შრომა აქვს დეპუტატთა საკრებულოში. წინად გუბერნიის მარშლები თითქმის არავითარს შრომას არ ეწეოდნენ. მდივანს სახლში მიუტანდა ხოლმე საქმეებს და დღეს-ხვალიობით ისტუმრებდნენ: ეხლა დრო არა მაქვსო, ეხლა სტუმრები მყავსო. ამიტომ მრავალი ძველი საქმე დღესაც ხელ-მოუწერელია. ახალი გუბერნიის მარშალი-კი სულ სხვა კაცია. მუდამ დღე კანცელარიაშია, უბრალო მოხელესავით ჰშრომობს და ყოველს საქმეს თითონ აწარმოებს. მე ვფიქრობ, რომ მარშალს არამც თუ მარტო წინანდელი ჯამაგირი უნდა დავუნიშნოთ, არამედ, რომ მივუმატებდეთ კიდევ, ურიგობას არა ვიქთ. რაც შეეხება დეპუტატებს, რომლებსაც ბ-ნი გუბერნიის მარშალი მიიწვევს ხოლმე საკრებულოში, როცა საჭიროება მოითხოვს, უნდა მოგახსენოთ, რომ იმათ ჯამაგირის მაგიერ დღიური სასყიდელი უნდა დავუნიშნოთ. კოლეგიის შესადგენად, მარშლის გარდა, ორი დეპუტატია საჭირო და ორის კაცისათვის დღიური სასყიდელი უნდა ვაძლიოთ, რადგანაც ქუთაისში ჩამოსვლა დასჭირდებათ, როცა ბ-ნი მარშალი მოიწვევს სამეგრელოსი და ლეჩხუმის თავად-აზნაურთა უფლების გასარჩევად (საზოგადოებაში თანაგრძნობის ხმა ისმის).

კ. ზ. ლორთქიფანიძე განუმარტავს საზოგადოებას, რომ ბ-ნს გუბერნიის მარშალს 3 ათასი მანეთი ჯამაგირადკი არ ეძლევა, არამედ წარმომადგენლობისათვის. მოგეხსენებათ, რომ ამ საგნისათვის მარშალს დიდი-ძალი ხარჯი ეჭირვება დი ამ ხარჯად დავუნიშნეთ ერთხელვე სამი ათასი მანეთიო. მე მგონია, რომ არავის არა აქვს საბუთი, დამწამოს, ვითომ მე რაიმე პირადი ანგარიში მქონდეს თავ. ს. ბ. წერეთელთან. წარმომადგენლობისათვის დანიშნულის ხარჯის მომატების წინააღმდეგი ვარ. რაც შეხება დეპუტატების ჯამაგირს, უნდა მოგახსენოთ, რომ თავ. ნიჟარაძის აზრი ყოვლად მოსაწონია, ხოლო მე კიდევ უფრო მეტს ვიტყვი: არამც თუ დღიური სასყიდელი, თვიური დავუნიშნოთ. (კრება თანხმაა.)

პ. ზ. ჩხეიძე: სრულიად თანახმა ვარ იმათი, რომლებიც ბრძანებდნენ, რომ ჩვენ დღეს მეგრელებს ხათრი უნდა შევუნახოთ, როგორც ჩვენს მოძმეებს ჩვენის მამულის შვილებს, რომლებსაც, როცა მათი დახმარება ჩვენთვის საჭირო ყოფილა, ყოველთვის ჩვენთვის ხელი გამოუწვდენიათ და მოუმართავთ. ასეც რომ არ ყოფილიყოს, სამეგრელოსი და ლეჩხუმის თავად-აზნაურობას ბანკში გურია-იმერეთის თავად-აზნაურობაზე მეტი ფული თუ არ აქვს შემოტანილი, არც ნაკლები აქვს, ამიტომ მე საჭიროდა და სავალდებულოდ ვრაცხ, იმათი სურვილი და თხოვნა შევიწყნაროთ; ამას მოითხოვს ჩვენი მათთან ძმობა და ერთობა; რაც შეეხება მარშლის ფულს, უნდა მოგახსენოთ, რომ ბ-ნი კ. ლორთქიფანიძე მართალს ბრძანებს. ჩემის აზრით, სულ ერთია, მაგ ფულს ჯამაგირს ვუწოდებთ თუ წარმომადგენლობისათვის დანიშნულს ხარჯს. მე, ჩემის მხრით სრული თანახმა ვარ, რომ ბ-ნ მარშალს სამი ათასი მანეთი ოთხ. ათასად გავუხადოთ, (კრებაში ხმაურობა ასტყდა, ზოგი ეთანხმება ბ-ნს ჩხეიძეს, ზოგი არა).

ბ-მა თავჯდომარემ ათის წუთით სხდომა შეაჩერა, რათა კომიტეტმა და ბანკის გამგეობამ მოილაპარაკონ, ზემოდ-აღნიშნულ საგნისათვის რამდენი ფული შეუძლიან გაიღოს ბანკმაო. ამავე დროს კრებაში საშინელი ხმაურობა და ცხარე ლაპარაკია წევრთა შორის.

სხდომა რომ დაიწყო, თავმჯდომარემ, ბ-ნმა ლ. თ. ლოლუამ, აცნობა კრებას, რომ კომიტეტისა და გამგეობის აზრით, შესაძლოა,მხოლოდ რამდენსამე, საგნისათვის გავიღოთ ხარ-

---

ცხადია, რომ ის მამა-პაპეული სიკეთე და დოვლათი, რომელიც ქართველს დედაკაცს დარჩა წარსულის ცხოვრებისაგან, საკმაო არ იყო. უფრო გარკვევით ეს აზრი შესაძლოა ასე გამოვსთქვათ: თუ ქართველს დედაკაცს უნდოდა ხელ-უხლებლად შეენახა სათადარიგო თანხა ანუ იგივ მამა-პაპეული სიკეთე-დოვლათი, ძველებურის დროებისაგან ნაანდერძევი, და ეცხოვრა მხოლოდ ამ თანხის სარგებლით, საჭირო იყო ეზრუნა ამ ისტორიით ნაანდერძევის სიკეთე-დოვლათის გამატებისათვისაც, თორემ ადვილად შესაძლებელი იყო და სწორედ ისეც მოხდა, რომ მარტო იმ თანხის სარგებელმა არ იკმარა ცხოვრებისათვის. ერთის სიტყვით, ახალ დროების ქართველს დედაკაცს უნდა ეტვირთნა და გონება და ზნეობა ძველებურის დედაკაცისა გაემდიდრებინა, გაეფართოებინა იმ ახალისა და ძვირფასის მასალა-შინაარსით, რომელიც გაჩნდა სწორედ მაშინ, როცა შეიცვალა ჩვენის სამშობლო ქვეყნის საეკონომიო და საზოგადოებური ცხოვრება-ვითარება.

გასაკეთებელი საქმე ცხადი დასანახი იყო და დიდის გარკვევითა სჩანდა: მაგრამ, სამწუხაროდ, არც დედაკაცების უმრავლესობამ და არც თვით პუბლიცისტიკამ ამ უკანასკნელ დრომდე არ შეიწუხა თავი და დრო-ჟამისაგან მოვლენილი საქმე და ანგარიში არ ივარაუდა, არ მოისაზრა, არ გაითვალისწინა. დედაკაცებიცა და პუბლიცისტიკაც ამ საქმეს ერთბაშად არ შეეჭიდნენ, ნაწილ-ნაწილ დაუწყეს წევა იმდენად, რამდენადაც თითონ ცხოვრება მიახვედრებდა ხოლმე საზოგადოებასა, რომ ყოვლად საჭიროა და აუცილებელი დედაკაცების ყოფა ასე თუ ისე შეიცვალოსო. სათეორიო აზრი იშვიათად დააკვირდებოდა ამ საგანს, რომლის ასე თუ ისე გადაწყვეტა სრულიად და სავსებით თავ-მინებებული ჰქონდა ცხოვრებას, ცხოვრების პრაქტიკას და ეს პრაქტიკაც აწარმოებს, რამდენადაც შეუძლიან, ამ საქმეს დღემდე. რაც გაკეთებულია ამ მხრით, ყველას თვალწინა აქვს; ყველას ადვილად შეუძლიან დაინახოს; და თუ გონიერნი, გულ-წრფელად მოყვარულნი თავის ქვეყნისა იტყვიან, რომ ჩვენი გული შეჯერებულია და კმაყოფილი მით, რაც უკვე დღემდეა ამ მხრით გაკეთებულიო, მაშინ, ღრმად დარწმუნებული ვარ, ჩვენი ქვეყანა ჯერ კიდევ დიდხანს იქნება სხვა ქვეყნებზე უკან ჩამორჩენილი, როგორც გონებითა და ზნეობით, ისე ქონებითა და დოვლათითაც.

ძნელი სათქმელი-კია, რომ ვითომ ჩვენმა უკეთესმა კაცებმა არ იცოდნენ, ერთის მხრით, რაოდენად შეუსაბამოა მდგომარეობა ეხლანდელის დედაკაცისა ჩვენში, ხოლო მეორეს მხრით, რაოდენად დიდებულია ის მნიშვნელობა, რომელიც მოწოდებულია იქონიოს დედაკაცმა ჩვენის ქვეყნისა და ცხოვრების აღორძინების საქმეში.

როცა ჩვენს ქვეყანას გარშემო ერტყა მტრები დასისხლიანებულის თვალებითა და ამოწვდილის ხმლებითა, მაშინ ჩვენს მამა-პაპათ ძალიან კარგად ესმოდათ თავიანთ დროების ვითარება. იარაღით ზედ-მოსულთ იარაღითვე აძლევდნენ პასუხს. თუ ჩვენმა მცირე ერმა მოიხერხა და დაიცვა რამდენისამე საუკუნის განმავლობაში თავისი ვინაობა, თავისი არსებობა, და მტრების ძალას ძალავე დაუპირისპირა, ამისი მიზეზი ის იყო, რომ დაპირისპირებული ძალა კარგად იყო გაწვრთნილი და გავარჯიშებული.

ეხლა-კი, როცა ის დრო ბრიყულის ძალ-მომრეობისა და სამხედრო თარეშობისა შესცვალა სულ სხვა დრომ, დრომ მშვიდობიანის კულტურის მეფობა-ძლიერებისამ, როცა ჩვენს ქვეყანას ათასი შიში და განსაცდელი მოელის საეკონომიო და საზოგადოებურის თვისებისა, ჩვენც, მეტი ღონე არ არის, ძალა-უნებურად უნდა ვიზრუნოთ და შევიძინოთ უკეთესი კულტურული იარაღი ბრძოლისა, უნდა ვიზრუნოთ და შევძინოთ ჩვენს საზოგადოებას მეტი ცოდნა, მეტი სწავლა და განათლება.

ხოლო რაკი ასეთია საქმე ჩვენის დროებისა, რაკი ასეთია საქმე, რომელიც სრულის სიმართლით შეიძლება საეროვნებო საქმედ დავსახოთ, თავის-თავადვე ცხადად არ უნდა დაგვეხატოს თვალ-წინ დედაკაცის დიდი და ფრიად დიდი მნიშვნელობაცა? რა გვარიც უნდა იყოს სოციალური მდგომარეობა დედაკაცისა, მისი ზნეობა, მისი ყოფა-ცხოვრება, მისი ზედ-მოქმედება ქვეყნის საქმეებზე მაინცა და მაინც მეტის-მეტად დიდია და აუცილებელი. ისე არავითარი საქმე არ მოხერხდება, ბოლოსა და ბოლოს არავითარი გასაკეთებელი არ გაკეთდება, რომ დედაკაცი არ ჩაერიოს ასე თუ ისე იმ საქმეში, იმ გასაკეთებელში. იმას ნუ იფიქრებთ, რომ ხშირად დედაკაცი არა სჩანს, გმირი ის არ არის, ოფიციალურად იმას არავინ ჰსახავს მიზეზად და მოთავედ ამა თუ იმ საქმისა. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ დედაკაცმა იქნება იმ საქმეში მამაკაცზე ნაკლები შრომა და ჯაფა არ გასწია. ო, მეტად ძლიერნი არიან დედაკაცნი, ეს ვითომ და სუსტნი, უძლურნი არსებანი!

კაცი უნდა ძალათი იბრმავებდეს თავს, რომ ფიქრობდეს, ვითომ დედაკაცი, რომელსაც ღონე არა აქვს პირდაპირ ჩაერიოს საზოგადო ცხოვრებაში, ნამდვილადაც უარჰყოფდეს ასეთს პირდაპირს ჩარევას საზოგადო საქმეებში და კმაყოფილი იყოს ყველაფერში მორჩილის ადამიანის როლისა. არა, დედაკაცი ერთი უძლიერესი და უმძლავრესი მომქმედია საზოგადო ცხოვრებისა. დაუნახაობა დედაკაცის ამ დიდის მნიშვნელობისა, მომასწავებელია იმისი, რომ ვერ დაუფასებიათ რიგისა და ღირსებისამებრ ის ძალნი, რომელნიც საზოგადოებურს შემოქმედობაში ჰმონაწილეობენ. დედაკაცს შეუძლიან ყოვლად ძლიერი დ შეძლებული მომხრეც იყოს და დიდად საშიში მტერიც. ის საზოგადო საქმე, რომლის წინააღმდეგაც დედაკაცნი არიან, თუ სულ დაღუპული საქმე არ არის, მაინცა და მაინც ძალიან საეჭვო და საეგებიო საქმეა. პირ-იქით, ყოველს საზოგადო საქმეს, რომელსაც-კი მოუპოვებია თანაგრძნობა დედაკაცებისა და თავის მომხრეებად დაუგულებია, ცოტად თუ ბევრად, გამარჯვების იმედი უნდა ჰქონდეს. დედაკაცს თან მოაქვს გამარჯვებაცა და დამარცხე-

ჯი ამ 1891 წლის მოსალოდნელის მოგებიდგან, რადგანაც წარსულის წლიდგან არა დაგვრჩენია-რაო. სათავად-აზნაურო სკოლისათვის შესაძლოა გავიღოთ, გარდა იმ 12 ათასის მანეთისა, რომელიც ძველის მოგებიდგან დავნიშნეთ, კიდევ 17,608 მ. გუბერნიის მარშლისათვის 3,000. ამდენივე რეალურ სასწავლებლისათვის; მაშასადამე უარი უნდა ეთქვას: დეპუტატთა საკრებულოს, რომელიც 6,000 მანეთს თხოულობს სესხად, ბ-ნ აკაკი წერეთელს, რომელსაც წინად 1500 მანეთი ეძლეოდა ბანკიდგან წლიურად, წმ. ნინოს დედათა სასწავლებლებს და ბ-ნ დეპუტატებს, რომლებსაც, ზოგიერთთა აზრით, სასყიდელი უნდა დაენიშნოს, როცა სამეგრელოსი და ლეჩხუმის თავად-აზნაურების ღირსება-უფლობის გასარჩევად იქმნებიან ხოლმე მოწვეულნიო.

თავ. მ. გ. მიქელაძე. სასურველია, ყველა თხოვნა დავაკმაყოფილოთ. ზოგს ვუნიშნავთ და ზოგს არაო. ჩემის აზრით, რამდენის გაღებაც შეგვიძლია, ის ფული ყველა საჭიროებაზე გავანაწილოთ. მართალია, ერთს დააკლდება, მაგრამ, სამაგიეროდ, მეორეც, გულ-ნატკენი არ დაგვრჩება. მეგრელების თხოვნაც მივიღოთ და ბ-ნს გუბერნიის მარშალსაც მივუმატოთ 600—1,000 მანეთამდეო.

თავ. გ. აბაშიძე ყოვლად საჭიროა, მეგრელებს ხელი გავუწოდოთ და გავუადვილოთ გურია-იმერეთის თავად-აზნაურობასთან შეერთება. ამიტომ დეპუტატთა საკრებულოში მოსამსახურეთ სასყიდელი დავენიშნოთ, რადგანაც ამათ, თუკი სასყიდელს დავუნიშნავთ, მეტი დრო და შრომა შეუძლიათ მოანდომონ მეგრელების საქმეს. ნუ დავივიწყებთ, რომ, თუ ვინიცობაა, მეგრელების და ლეჩხუმლების საქმე ცუდად დატრიალდა, სათავად-აზნაურო სკოლა მარტო ჩვენ დაგვრჩება და სამეგრელოსი და ლეჩხუმის თავად-აზნაურთა შვილები დაჰკარგავენ უფლებას ჩვენს სკოლაში შესვლისას, და ეს-კი ხომ დიდი უბედურება იქნება ჩვენთვისაც და იმათთვისაც (კრება „ბრავოს“-ს იძახის).

ვიღაც ახალგაზდა კაცი თეატრის სავარძლიდგან იძახის, რაც ძალი და ღონე აქვს, „არ შეიძლება, არა, მარშალს ჯამაგირი მოვუსპოთო“, და თან ხელით ანიშნებს კრებას, ხმა მომეცითო, მაგრამ ამაოდ.

ბ-ნმა კ. ზ. ღორთქიფანიძემ გრძნობით სავსე სიტყვით მიჰმართა კრებას და უმტკიცებდა, რომ ყოვლად შეუძლებელია, უარი ვუთხრათ დეპუტატთა საკრებულოს, წმ. ნინოს დედათა სასწავლებელს და ბ-ნს აკაკი წერეთელს, ამ მამულისათვის სასახელო კაცსა, რომელსაც ჩვენვე დავუნიშნეთ 1500 მანეთი წლიურადაო. მართალია, საზოგადო კრება ერთის წლის ხარჯს ჰნიშნავს ხოლმე თითოეულ საჭიროებისათვის, მაგრამ დღეს წიხლს ნუ ვკრავთ ამ კაცს; ეს არც ჩვენთვის იქნება საკადრისი და ნურც ა. წერეთელს ვაკადრებთ. მართალია, ხარჯი ამ 1891-ს წლის მოგებიდგან უნდა გავიღოთ, მაგრამ ბანკს ამით არა დაუშავდება-რა (კრებამ დიდად თანაგრძნობით მიიღო ორატორის სიტყვა).

ბ-ნი დ. თ. ღოღუა (თავმჯდომარე): გადასწყვიტეთ, ვის რამდენი ფული დაენიშნოს.

კრება თითქმის ერთხმად იძახის: მიეცეს აკაკის, წმ. ნინოს სასწავლებელს, დეპუტატებს, და ამ რიგად ეს სამი საგანი გადაწყდა. კრებაში აქა-იქ ისმის: „აკაკის მოესპოს, ჯამაგირი რომ დავუნიშნეთ, მას აქეთ ერთი ლექსიც არ დაუწერია“. კრებაში დიდი ხმაურობაა.

ბ-ნი გოგ. ლეჟავა. არ შეიძლება, დეპუტატებს ნურას მივცემთ, (დიდი ხმაურობაა კრებაში იმის თაობაზე, მიეცეს თუ არა დეპუტატთა საკრებულოს სესხად ექვსი ათასი მანეთიო. არა ისმის-რა, წესი ბაასისა სულ ერთიანად დაირღვა. ამ საგნის გადასაწყვეტად მრავალი წევრი კენჭის ჩამოტარებას თხოულობს. თავმჯდომარემაც ყუთები მოატანინა. ზოგი კენჭის წინააღმდეგია და იძახის: უკენჭოდ, უკენჭოდ, თუ სხვა საგნები უკენჭოდ გადასწყვიტეთ, ეხლა კენჭი რას ნიშნავსო).

თავ. გ. აბაშიძე. ნება მიბოძეთ, დეპუტატთა საკრებულოს შესახებ რამდენიმე სიტყვა მოგახსენოთ. ვინც თავად-აზნაურობის კრებაზე დაესწრო, იმას კარგად უნდა ახსოვდეს სიტყვა დეპუტატთა საკრებულოს მდივნის თავ. ა. წულუკიძისა. ბ-ნმა მდივანმა საყოველთაოდ მოგახსენათ, რომ დეპუტატთა საკრებულოში მოსამსახურეთ რამდენიმე თთვეა ჯამაგირი არ მიუღიათ და ლამის არის წელში გაწყდნენ უსახსრობითა და შიმშილითაო. ჩვენს თავად-აზნაურობას დიაღაც არ ჰმართებს, ასე გულ-გრილად მოეკიდოს თავისს მოსამსახურეებს. თითოეულს თქვენგანს მრავალი საქმე აქვს დეპუტატთა საკრებულოში; მარტო ის იანგარიშეთ, რამდენი თავდებობის მოწმობა დაგჭირდებათ და, თუ სახსარს ცხოვრებისას არ მისცემთ საკრებულოში მოსამსახურეთ, ამ თქვენს თხოვნას ვინ შეგისრულებთ. ამიტომ აუცილებლად საჭიროა, 6000 მანეთი მივცეთ სესხად, თორემ თითოეულს თქვენგანს ბოქაული მოგადგებათ კარზე აღმასრულებელის ფურცლით დეპუტატთა საკრებულოს შესანახად გაწერილის ხარჯის ასაკრებად.

(კრებამ მოიწონა თავ. აბაშიძის აზრი და საქმეც გადაწყდა).

შემდეგ წაკითხულ იქმნა მოხსენება 1890 წლის მაისის 16-სა იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობაში იმყოფებოდა ბანკი იმ წლამდე. აქედგან მოვიხსენიებ მხოლოდ რამდენსამე ცნობას ბანკის შესახებ. მაგალითად, ზედამხედველს კომიტეტს აღმოუჩენია, რომ იმ მამულებიდგან, რომელიც ბანკს დარჩენია და არ გაყიდულა, ბანკს თითქმის არავითარი შემოსავალი არ შემოსდის. ვის მიაქვს ამ მამულების შემოსავალი და ვინ არიან მოურავები, არავინ იცის. ერთს მამულს მოურავიცა ჰყავს მიჩენილი, მაგრამ ეს მოურავი არავითარს შემოსავალს არ იძლევაო. ჩვენს ბანკს ბ-ნი ი. იოსელიანის სახლი ჰქონდა დაგირავებული ტფილისში. ბოლოს აღმოჩნდა, რომ ერთი ნაწილი ამ სახლისა სხვის მიწაზე ყოფილა აშენებული. ამის გამო ბანკმა 30 ათას მანეთამდე იზარალა. იოსელიანს სხვა მამულები მოვალეებმა აღუწერეს და ჩვენს ბანკს-კი უფლება ჰქონდა ამ მამულებიდგან შეევსო თავისი ზარალი. ამიტომ კომიტეტმა მიანდო საქმის დაწყება ბანკის გამგეობას, მაგრამ გამგეობამ არა ითავა—რა ამ საქმის გამო, ასე რომ იოსელიანის მამულები გაიყიდა 200 ათას მანეთად და ეს ფული მოვალეებმა დაინაწილეს, ხოლო ჩვენს ბანკს-კი არა ჰხვდა-რაო.

ბ-ნი კ. ნ. ჩიქვაიძე. როგორც კრებამ დაინახა, ეს მოხსენება ძველის გამგეობის მოქმედებას შეეხება. 1889 წელს მე ზედამხედველის კომიტეტის წევრად ვიყავი არჩეული, და მაგ მოხსენების შედგენაში, როგორც სხვა წევრებს კომიტეტისას, მეც მიდევს წილი. ეგ მოხსენება თქვენთვის შარშან უნდა წაეკითხათ, მაგრამ რა მიზეზით გადასდვეს, არ ვიცი, მაისში ბანკის გამგეობის თამჯდომარედ ამირჩიეთ და მაშინვე დამედევნენ უკან: თითქო კურდღელი ვყოფილიყავი. კომიტეტს წერილი მივწერე და ვურჩევდი, დაწყნარებულიყო და საქმე ერთად გვეკეთებინა, მაგრამ არა გამოვიდა-რა. მაისს ივნისი მოჰყვა, ივნისს—ივლისი, ამას აგვისტო, აგვისტოს სექტემბერი, ამას ოქტომბერი და ამ თთვეში რაც მოხდა, თქვენც კარგად მოგეხსენებათ. შემდეგ ტფილისი... პეტერბურგი... მინისტრი... და ამასობაში ეს მაისიც დაგვიდგა. ამ დროს განმავლობაში ბანკისათვის ვისა სცალოდა, ჩვენ-ჩვენი საქმეც ბევრი გვქონდა. მთელს ამ დროს იმას ვანდომებდით, რომ ვექილობებში ვნიშნავდით, ვის რამდენი მანეთი აქვს ბანკში დატოვებულიო. ამიტომ ის შეცდომები, რომელიც კომიტეტს შეუნიშნავს, შეუსწორებელი დაგვრჩა. დღეის იქით ვეცდებით, რომ ყველაფერი გავასწოროთ, რამდენადაც შევიძლებთ.

თავ. დ. გ. წულუკიძე. ბ-ნს ჩიქვაიძეს უნდა მოვახსენო, რომ, რაც იმედი აქვს, სულ ფუჭია. იოსელიანის მამულის შესახებ შარშანდელს კრებაზე ცხარე ბაასი იყო, მაგრამ გამგეობას ბანკისას არავითარი ღონე არ უხმარია, თუმცა გამგეობაში ორი იურისტი ბრძანდება, ბ-ნი ჩიქვაიძე და ჯაიანი (არ შეიძლება, ჩიქვაიძეზე ნუ ლაპარაკობთ, იძახიან კრებაში). მე პირველად ჩიქვაიძეზე არაფერს მოგახსენებთ. გასწორებას გვპირდებიან, მაგრამ ეს ყოვლად შეუძლებელია, ბანკის მოსამსახურენი არა სწორდებიან და არც იმედია, რომ გასწორდნენ.

თავ. ნ. დ. ჯრისთავი (წევრი გამგეობისა): აბა, გვიბრძანეთ, რა უნდა ვქნათ?

დ. გ. წულუკიძე. რა უნდა გითხრათ იმის მეტი, რომ ვერ გასწორდებით. იმას-კი არ მოგახსენებთ, რომ რაიმე ბოროტი განზრახვა ჰქონდეთ, არამედ იმასა, რომ საქმეს აფუჭებთ ზოგჯერ ხათრით, ზოგჯერ სისუსტითა და მიუხვედრელობით (საზოგადოებაში დიდი ხმაურობა და უთანხმოებაა).

დ. თ. ღოღუა. ჩემის აზრით, ამ მოხსენების გამო უნდა დავადგინოთ: მიეწეროს გამგეობას, რომ ყოველივე შეცდომა, რაც კომიტეტისაგან შენიშნულია, დანიშნულ დროისათვის უსათუოდ შესწორებულ იქმნას; თუ გამგეობამ ეს მიწერილობა არ შეასრულა, ამ შემთხვევისათვის კომიტეტს ნება დართეთ შემდეგს მორიგს კრებაზედ მოგახსენოთ, რა ზომა უნდა იხმაროთ გამგეობის წინააღმდეგ (კრება თანახმაა ამ აზრისა).

შემდეგ ერთხმად, უკენჭოდ არჩეულ იქმნა გამგეობის წევრად ბ-ნი ი. პ. ჯაიანი, რომელიც წელს რიგით გამოდიოდა სამსახურიდგან.

ბ-ნი კ. ზ. ღორთქიფანიძე. განუმარტავს კრებას, რომ აუცილებლად საჭიროა სესხის გაიაფებაო; ამიტომ

---

ბაც. დედაკაცი ძალაა, მართალია, ჯერ-ჯერობით დაფარულ-დაგუბებული და ჩვენ მიერ კარგად ვერ შეგნებული, გარნა ყოველსავე ექვს გარეშე მეტად დიდი და დაულეველი.

დედაკაცს სამოქმედოდ თითქო მცირე და მანძილ-მოკლე სარბიელი აქვს მიჩენილიო, მაგრამ აბა უყურეთ, რა სასწაულთ მომქმედია ამ სარბიელზე. იმის ხელშია, თუ სულ მთლად არა, ნახევრობით მაინც აღზრდა და მიმართულება ახალის თაობისა, ესე იგი, იმის ხელშია მთლად სამერმისო ბედი ერისა. ამ გარემოებას ნუ ეხუმრებით! მკვიდრთა გადახალისება ხორციელად, ასაკოვნებით, უცბადა და ერთბაშად არ სწარმოებს, არამედ ნელ-ნელა, თანდათანობით: ახალს თაობას, ნაყოფს ეხლანდელის დედებისას, გვერდში უდგანან და მასთან ერთად ცხოვრობენ და მოქმედებენ მეტის ასაკის თაობანიც. ამ გარემოების გამო ცხოვრებას, ცოტა არ იყოს, არეული ფერი სძევს და უსწორ-მასწორობის ხასიათი აქვს: სხვა და სხვა ასაკისა, სხვა-და-სხვა აღზდისა, ხასიათისა და ზნე-ჩვეულებათა კაცნი ერთად, ერთმანეთის ახლო-მახლო მოქმედობენ და ერთმანეთის მეტ-ნაკლებობას, დიდ-პატარაობას ცოტაოდნად ჰფარავენ. მაგრამ ერთს თაობას რომ მეორე თაობა ისე მოსდევდეს, როგორც დარაჯნი სცვლიან ერთმანეთს ყარაულობაში, ახალის თაობის გამოსვლისათანავე ყველა ძველი თაობანი რომ უცბად ანებებდნენ თავს ცხოვრების მოედანს, ისე რომ იმაზე სამოქმედოდა და საასპარეზოდ რჩებოდეს ერთს რომელსამე დროს მხოლოდ ერთი რომელიმე, ასაკით თანაბარი, ტოლ-ამხანაგობის თაობა, მაშინ თვალ და თვალ, ნიშანდობლივ დავინახავდით, რაოდენად დიდი მნიშვნელობა აქვს დედაკაცს ახალგაზდათა აღზრდისა და მიმართულების საქმეში და, მაშასადამე, რა ძლიერია და დიდი ზედ-მოქმედება დედაკაცისა მთლად მის თანამემამულეთა ბედსა და უბედობაზედ.

დედაკაცს შეუძლიან ზედ-მოქმედება იქონიოს არა მარტო ქვეყნის სამერმისო მოღვაწეებზედ, არამედ იმ თაობაზედაც, რომელიც იმის დროსა სცხოვრობს და მოქმედობს. აიღეთ დედაკაცი, როგორც ცოლი—მეუღლე: ოჯახში, სახლობაში, როგორც ვიცით, ცოლი უმთავრესი მომქმედია. ოჯახი იმისი საბრძანებელია, იმისი სარბიელია, იმისი სცენაა. იმაზეა დამოკიდებული, რა ჰაერი, რა სული ტრიალებს ამ პატარა საბრძანებელში. ნუ იტყვით, რომ ხშირად ცოლი იძულებულია ქედი მოუხაროს ქმარსაო, მაშასადამე, იმის მორჩილებაში იყოსო, იმიტომ რომ ეხლანდელს დროში ქმარი ბევრად მაღლა სდგას ცოლზე, როგორც ჯანით და ღონით, ისე გონებითაცაო. ქმარი შეიძლება ათჯერ უფრო ჭკვიანი იყოს თავისს ცოლზე, მაგრამ მე მაინც ვამტკიცებ, რომ ცოტად თუ ბევრად მცირე ხნის შემდეგ ამ სუსტისა და ნაკლებად წარმატებულის არსების გავლენა უთუოდ დაეტყობა ქმარს. დედაკაცებს ძალიან ემარჯვებათ ხმარება მრავალის საჭურველ-იარაღისა, რომელიც ხელში აქვთ. თუმცა 100-ში 99 ქმარი თავისს დღეში არ გამოტყდება, მაგრამ გავლენა ცოლისა და მის მიერ დაწესებულის საოჯახო ჰაერისა შეუძლებელია თავიდამ აიცილოს ქმარმა; მით უფრო უეჭველია იგი გავლენა და ხშირად მით უფრო საშიშარია, რომ პირველის შეხედვით ძნელი შესამჩნევია. იგი გავლენა სწარმოებს ყოველს საათს, ყოველ-წუთს, განუწყვეტლივ, გამუდმებით, მცირე წვეთ-წვეთობით. დარიშხანა ხომ უეჭველი საწამლავია; მაგრამ აბა ცოტ-ცოტა იხმარეთ და ჰნახავთ, რომ არა თუ მისი მავნებელი ზედ-მოქმედება იქნება დიდად შემცირებული და გაბათილებული, არამედ ზოგიერთს ავადმყოფობაში შესაძლოა შეუდარებელი სიკეთეც გაუწიოს ადამიანს.

მეორეს მხრით, შეუძლებელია ერთს გარემოებასაც არ მივაქციოთ ყურადღება. რაც უფრო მეტად არის მოკლებული დედაკაცი საზოგადო ცხოვრებაში პირდაპირ მონაწილეობის მიღებას, რაც უფრო ნაკლებია მისი საზოგადოებური და საოჯახო მოქმედება, ესე იგი, რაც უფრო ნაკლებადა აქვს დედაკაცს უფლება და ღონე ცხადად, უშუამავლოდ იქონიოს ზედ-მოქმედება თავის ქვეყნის საქმეებზე, მით უფრო ძლიერია ესეთი მისი დაფარული, მალული და ქურდული გავლენა საზოგადოების ზრდა-წარმატებაზე. განდევნით დედაკაცს სცენიდამ, ზედაპირიდამ, ის სიღრმეში მიდის, ვითომ და იმალება, თავს იკატუნებს, იუძლურებს, მაგრამ უფრთხილდით-კი ასეთს გარეგანს უსაქმურობას და თავდამბლობა-სიწყნარეს. წინდვე დარწმუნებულნი უნდა ბრძანდებოდეთ, რომ მისი დაფარული გამრჯელობა თქვენდა სასარგებლოდ არ იქმნება მიმართული: დედაკაცი შურის ძიებას დაგიწყებთ და თქვენს გაკეთებულს სულ გააოხრებს. ცხადია და ადვილად მისახვედრი, რომ ეს ასეც უნდა იყოს. ამით, რასაკვირველია, იმის თქმა არ მინდა, რომ ვითომ ამისთანა შემთხვევაში ყოველივე ესე ცნობიერად სწარმოებს, რომ ვითომ დედაკაცი ჰგრძნობს ბიაბრუობას, უსამართლობას და ამიტომ ცნობიერს მტრობას უწევს საზოგადოების ზრდა-წარმატებასა მეთქი. არა, საბედნიეროდა და თუ საუბედუროდ, აქ არავითარი ცნობიერება და ცოდნა არ არის. დედაკაცი გმტრობთ იმიტომ, რომ მეგობრობა არ გინდათ იმისი; გიფუჭებთ და გიხდენთ საქმეს იმიტომ, რომ მოუსპეთ ღონე თქვენთვის სასარგებლო და მხნე მოძხრე ყოფილიყო.

უკეთუ ჟამთა ვითარების გამო დედაკაცი ისეთს ყოფაშია ჩავარდნილი, რომ ძალა-უნებურად, თითქო ბედის წერის ძალით უთუოდ ქვეით-ქვეითა და ძირ-ძირ უნდა მიდიოდეს, ქვესკნელისკენ იმ დროს, როცა თქვენ აღმაფრენა გწადიანთ, ზესკნელს ეტანებით და ცას იქით ეძიებთ სადგურს, ნუ გაგიკვირდებათ ასეთი ამბავი: ყოველივე ორგახო და სახსარი უსაქმურობით ფუჭდება და ირღვევა. აბა ნუ ავარჯიშებთ თქვენს ჭკუა-გონებას და ჰნახავთ, რომ ნიჭი თქვენი დაჩლუნგდება. აბა ნუ ამუშავებთ თქვენს ხელ-ფეხს, რანაირად დაგიდუნდეთ და დაგისუსტდეთ. მტკიცედ უნდა გვახსოვდეს, რომ ყოველს უსაქმურობასა და ამაოდ ყოფნას ყველგან და ყველაფერში მოსდევს მუდამ და აუცილებლად ტკივილები და ტანჯვა-მწუხარება.

გ. მაიაშვილი

(შემდეგი იქნება)

ვთხოვოთ მთავრობას, რომ 5% გირავნობის ფურცლების გამოცემის ნება მოგვცეს; იმედია, რომ ჩვენს თხოვნას მთავრობაც შეიწყნარებს, რადგანაც ყველა საადგილ-მამულო ბანკს ნება-დართული აქვს კონვერსიაო.

ეს აზრი კ. ლორთქიფანიძისა კრებამ მოიწონა და კონვერსიის წესის გამორკვევა და მთავრობასთან შუამდგომლობა ზედამხედველს კომიტეტს მიანდო.

თავმჯდომარე უცხადებს კრებას, რომ წელს რიგით გამოდის კომიტეტიდგან ორი წევრი: თავ. ა. ნ. ლორთქიფანიძე და თავ. პ. გ. ნაკაშიძე და სამაგიერონი უნდა აირჩიოთო, რადგანაც იმათ კომიტეტში სამსახური აღარ უნდათო.

რაკი ეს ამბავი გაიგეს, უმრავლესობამ კრებისამ შეჰქმნა ძახილი: „არ გვინდა, წევიდნენ, წავიდნენ“.

ბ-ნი ლ. თ. ლოლუა: თავ. ს. გ. წერეთელმა გვაცნობა, რომ კომიტეტის წევრობას და თავმჯდომარეობას თავს ვანებებო და მადლობას მოგახსენებთ იმ პატივისცემისათვის, რომელიც თქვენ აღმომიჩინეთ, როცა კომიტეტის წევრად ამირჩიეთო.

კრების ერთი ნაწილი. წევიდეს, წევიდეს, ჩვენც მადლობელი ვართ, მადლობელი, არ გვინდა, სხვა ავირჩიოთ,

გოჯ. ლეჟავა. ასათიანი არ გადის?

ლ. თ. ლოლუა. ასათიანს ჯერ ვადა არ გასვლია და ამიტომ რჩება წევრად.

გოჯ. ლეჟავა. ასათიანიც წავიდეს, არ გვინდა.

არ გვინდა: არ გვინდა, მაგეც წევიდეს, შეიქმნა ძახილი. წევიდეს, ლოლუა და ჯორჯიკია დარჩნენ, სხვები წევიდნენო, ამ დროს ბ-ნ ლ. ნ. ასათიანისაგან ცნობაც მოვიდა, რომ წევრობას თავს ვანებებო, და გამოაცხადა თუ არა თავმჯდომარემ ეს ამბავი, ისევ ყვირილი ასტყდა, არ გვინდა, წევიდესო.

საშინელი ღრიალია, ყურთა სმენა არ არის. თავმჯდომარე უცხადებს კრებას, რომ ხვალ მობრძანდით სხდომაზე კომიტეტის წევრების ასარჩევადაღ. დღეს, დღესაო—გაისმა კრებაში და სხდომა გადაიდო მეორე დღემდე.

ა. ნა—ლი

## დეპეშა

25 მაისი

**ვენა.** გაზეთებში დაბეჭდილია შინაარსი იმ ახალ კანონ-პროექტისა სოციალისტების შესახებ, რომლის წარდგენა რეიხსრატში თვით მთავრობის მიერ გამოცხადებული იყო. კანონ-პროექტი იმან გამოიწვიაო, რომ ახლად მომქმედი კანონები სრულებით არა კმარა სოციალისტების უზომო უეწსოების ასალაგმავად, იმ უწესოებისა, რომლითაც ისინი სცდილობენ სახელმწიფო და საზოგადოებრივი წეს-წყობილება დაამხონ. კანონ-პროექტი წაავგავს იმ კანონებს სოციალისტების წინააღმდეგ, რომელიც მთავრობამ 1886 წ. წარუდგინა რეიხსრატს, და უფრო ძალას აძლევს იმ განსაკუთრებით კანონებს, რომელიც შემოღებულია ეხლა ვენაში და ბოჰემიისა და ოტერის საქარხნო ოლქებში ანარხისტების წინააღმდეგ.

**ლონდონი.** პალატა დაეკითხა იტალიასთან დაკავშირების შესახებ და გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგმა სთქვა, რომ ინგლისს არავითარი პირობა არ მიუცია იტალიისათვის ინგლისის ჯარისა და ფლოტის მონაწილეობის შესახებ; მაგრამ ინგლისს, როგორც იტალიას, ჰსურს ხმელთა შუა და იმის ახლო-მახლო ზღვებზედ დაიცვას ისეთივე წესი, როგორიც ახლა არსებობსო.

### პეტერბურგის ბირჟა, 24 მაისი.

| | მყიდვე-ლისა. | გამყიდ-ველისა. | გაყიდუ-ლისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | $6^{3}/_{4}$ | 6 78 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | $135^{1}/_{4}$ | $135^{3}/_{4}$ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1 03 | 1 05 | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მოგების ბილეთი . . . . | $243^{3}/_{4}$ | — ,, | 244 |
| —მეორისა . . . . | 222 | — ,, | 223 |
| —მესამისა . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურთაის ბანკის ფურცელი, . , , , | $210^{1}/_{2}$ | — ,, | 212 37 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | 101 62 | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა . . | — ,, | — ,, | — ,, |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | — ,, | — ,, | — ,, |

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით, ნაშუადღევის 4 საათზე მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურში შეივლის).

კვირაობით, საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს, შორის გზით.

პარასკეობით, დილით-ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შეივლის).

შაბათობით, დილით, სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მაასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით, დილის 9 საათზე, და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია ანატოლისკენ წამსვლელ გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკეობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამის გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებიდან გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

# განცხადებანი

## ისყიდება

### დუქნები

სამი სამ-სართულიანი ორის ოთახით **ავლაბარში 7,** ნაწილში სირაჯხანის თავზე. იკითხეთ მეჭურჭლე **არშაკ აშხარუმოვი.** (3—1)

ბანკის თეატრი

სამშაბათს, 25 მაისს, წარმოდგენილი ქნება.

## ფედრა

ტრაგედია 5 მოქ. თხზ. რასინისა. ფედრის როლს ასრულებს მ. ნ. ერმოლოვისა არისისა ერმოლოვა-კრეჩეტოვისა.

კვირას, 26 მაისს წარმოდგენილ იქნება

## მარია სტიუარტ

ტრაგედია 5 მოქმედ. თხზ. შილერისა. მარიას როლს ასრულებს მ. ნ. ერმოლოვისა, ელისაბედისას ა. ნ. ერმოლოვა-კრეჩეტოვისა.

ორშაბათს, 27 მაისს, წარმოდგენილ იქნება:

## სიმფონია

დრამა 4 მოქმედებად, თხზ. ჩაიკოვსკისა. დასაწყისი $8^{1}/_{4}$ საათზედ.

ბილეთების ყიდვა შეიძლება 10 საათიდამ $2^{1}/_{2}$-დე და $4^{1}/_{2}$ საათიდამ წარმოდგენის გათავებამდე.

მანდილოსნებს სთხოვენ, რომ პარტერში უსათუოდ მოიხადონ ქუდი.

„წერა-კითხვის საზოგადოების“

### წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| უკანასკნელი დღე სიკვდილით დასჯილისა, ვიქტორ ჰიუგოსი. თარგ. თ. სახოკიასი . . . . | „ | 30 |
| ხალხური ლექსები, შეკრებილი ალ. იაშვილის მიერ. | „ | 30 |
| ლექსები ნ. ბარათაშვილისა. ახალი გამოცემა. . . | „ | 30 |
| რამდემიმე ლექსი ცახელისა. . . . . . | „ | 15 |
| თხზულებანი გ. ერისთავისა, მშვენიერს ყდაში ავტორის სურათით . . | 2 | „ |
| ქართულ-რუსული ლექსიკონი დ. ჩუბინაშვილისა სამივე ნაწილი . . . | 8 | „ |
| ქართული ლექსიკონი, შედგენილი საბა-სულხან ორბელიანისაგან . . | 3 | „ |
| გზა ცხოვრებისა, შედგენილი წმიდისა ალ. ლიგუორისაგან . . . . | 1 | „ |
| წინამძღვარი ზეცისა . . | „ | 50 |
| წმიდათა ცხოვრება . . | 1 | 20 |
| იგავნი ფილოსოფოს ეზოპისა . . . . . . | „ | 40 |
| სიბრძნე კაცობრივი . . | 1 | „ |
| ბრძენი . . . . . | „ | 30 |
| მოკლე სახელმძღვანელო ფრანგულის ენისა, ყდით. | „ | 50 |
| მოკლე ფრანგული გრამატიკა . . . . . . | „ | 40 |
| მოკლე მსოფლიო ისტორია ძველთა და ახალთა ნათესავთა დასაბამიდგან სოფლისა ვიდრე დღევანდლამდე, ყდით . | 1 | 20 |
| მოკლე გეოგრაფია ფიზიკებრივი, მოქალაქებრივი და ისტორიებრივი, დამატებით ძველის გეოგრაფიისა. . . . . | „ | 50 |
| მოკლე ქართული გრამატიკა დამატებით გრამატიკურის და ლოღიკურის ანალიზებისა. . . | „ | 40 |

ახლად გავმართე ავლაბრის მოედანზედ, ქალაქის სასწორის პირდაპირ, **მარტიროზ ნუნუფაროვის** ქარვასლაში:

სასტუმრო ოთახები

## „კახეთი“.

ოთახები ხელ-ახლად არის გადაკეთებული, ფრიად სუფთაა, ნათელი და ყოველისფრით მოწყობილი; ძალიან იაფ ფასად ქირავდება; იქვე გვაქს დიდი ეზო თავლებითურთ მოგზაურთათვის, თუ ვინიცობაა დასჭირდათ. (3—1)

დაიბეჭდა და ისყიდება

წერა-კითხვის გამავრცელებელს წიგნთსაცავსა და ქართველთა წიგნთ გამომცემელთ მაღაზიაში

## მეფე დავით აღმაშენებელი

ისტორიული დრამა, ოთხს მოქ. თხზულება.

თ. ალ. ჯამბაკურია-ორბელიანისა

გამოცემა

ზ. ჭიჭინაძისა

ფასი ორი აბაზი.

გამოვიდა და ისყიდება ქვემო მოხსენებულ პირებთან ერთ წიგნში მოთავსებული ქართული პიესები.

# ქართული პიესები

თხზულება

**ალალო თუთაევისა.**

ამ წიგნში შემდეგი პიესებია მოთავსებული:

**„უშნო არშიყი“**, კომედია სამ მოქმედებად.
**„სოფიო“**, ვოდევილი ერთ მოქმედებად.
**„დუქნის ოთახში“**, სცენა ქალაქის ცხოვრებიდამ.

ტფილისში—„წერა-კითხვის“ წიგნის მაღაზიაში, წიგნების გამომცემელ ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში, გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში. და თვით ავტორთანსა კუთარს მაღაზიაში
კავკავში—ი. ტერტეროვთან.
ველისციხეში—მ. ქალანთაროვთან.
სიღნაღში—კ. ნადიროვთან.
თელავში—მამა აბელ სუქიანცთან.
გორში—სოფრომ მგალობლიშვილთან.
ცხინვალში—ი. მელქუოვთან.
„ თ. კ. მ. ციციანოვთან.
სურამში—ზ. არუწოვთან.
ყვირილაში—თ. ხუსკივაძესთან.
ქუთაისს—ძმ. ჭილაძეებისა და ძმ. წერეთელ. წიგნის მაღაზიაში.
ხონში—ძმ. წერეთლების წიგნის მაღაზიაში.
ოზურგეთში—თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში.
ახალსენაკში—ი. ჯიჯიხიასთან.
ბათუმში—მ. ნიკოლაძის სააგენტოში.
ფოთში—ნოდიას წიგნის მაღაზიაში.
სოხუმში—ან. ჯუღელთან.

ფასი. 30 კაპ.

(10—1)


საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ივერია“

1891 წ. 1-ს იანვრიდამ გამოდის ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | თთვით. . . | 10 მ.—კ. | 6 | თთვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 | ,, . . . | 9 ,, 50,, | 5 | ,, . . . | 5 ,, 25,, |
| 10 | ,, . . . | 8 ,, 75,, | 4 | ,, . . . | 4 ,, 70,, |
| 9 | ,, . . . | 8 ,, —,, | 3 | ,, . . . | 3 ,, 50,, |
| 8 | ,, . . . | 7 ,, 25,, | 2 | ,, . . . | 2 ,, 75,, |
| 7 | ,, . . . | 6 ,, 50,, | 1 | ,, . . . | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ, въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

### ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები „კორესპონდენციები“ რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, არა საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.


Дозв. ценз. Тифлисъ, 25-го Мая 1891 г. სტამბა მ. შარაძისა, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში № 21 რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე